ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01253424193**
თარიღი: **08/12/2025**

ადრესატი: აკაკი ჩხაიძე
პირადი ნომერი: 01004008072
მისამართი: თბილისი მთაწმინდის შეს. N 7ა ბ. 14

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 2 დეკემბრის N01253374159-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ პოზიციის დაფიქსირებას, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N200 არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ:01.10.06.005.014, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის N411 დამტკიცებული, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით განსაზღვრული „აბსოლიტური“ ნიშნულის ცვლილებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია „აბსოლიტური“ ნიშნულის ცვლილება და განსაზღვრული +434.0 მეტრის ნაცვლად +436,5 მეტრის დადგენა, აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების გარეშე.

განახლებული „აბსოლიტური“ ნიშნულის შესაბამისად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სტადიაზე, შენობა ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა მოხდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14-39 დადგენილების შესაბამისი ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01253443871**
თარიღი: **10/12/2025**

ადრესატი: აკაკი ჩხაიძე
პირადი ნომერი: 01004008072
მისამართი: თბილისი მთაწმინდის შეს. N 7ა ბ. 14

მოქალაქე აკაკი ჩხაიძეს,

ბატონო აკაკი,

2025 წლის 3 დეკემბრის N 01253374110-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N200-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.10.06.005.014; 01.10.06.005.015; 01.10.06.005.007) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისათვის სატრანსპორტო კვლევის არეალის განსაზღვრის მოთხოვნას, გაცნობებთ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ქვეითისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა და ინდ. ტრანსპორტზე დამოკიდებულების შემცირება. ამის გათვალისწინებით, მოხდა საგზაო მოძრაობის მონაწილეთა იერარქიულად დანაწილება, რომლის სათავეშიც, პირველ ადგილზე, მოქცეული არიან ქვეითად მოსიარულეები, მეორე ადგილზე - არამოტორიზებული და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრები და მესამე ადგილზე - ინდივიდუალური ავტომობილი.

სწორედ აღნიშნულ იერარქიაზე დაყრდნობით, სააგენტომ, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის სატრანსპორტო განვითარების გზების გაანალიზებისა და ქუჩათა ქსელის დაგეგმვის პროცესში, შეიმუშავა მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მოდელი.

აღნიშნული მოდელის შესაბამისად, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, გეგმარებაში, არამოტორიზებული ტრანსპორტისთვის ქუჩის ორივე მხარეს გათვალისწინებული იყოს **1.5 მეტრის მქონე ველობილიკი** და ქვეითად მოსიარულეთათვის **2.5 მეტრის ტროტუარები.** საგზაო მოდელის მიხედვით ვერტიკალურ ორმხრივ გზაზე გათვალისწინებული უნდა იყოს ოთხი ზოლი. თითოეული მიმართულებისთვის 2 სამოძრაო ზოლი. ზოლო, ჰორიზონტალური გადამკვეთი გზებისათვის გათვალისწინებულია თითო მიმართულებისთვის ერთი სამოძრაო ზოლი, რომელზეც, აგრეთვე იქნება მოწყობილი **2.5 მეტრი სიგანის ველობილიკი.** თითოეული სამოძრაო ზოლის სიგანე უნდა შეადგენდეს **3 მეტრს.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია გათავისუფლებულია ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევისგან.

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი